ჩვენ, საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები, ვგმობთ ნებისმიერი ფორმით ძალადობის გამოვლინებას და გამოვხატავთ პროტესტს საქართველოს პარლამენტის წინ მშვიდობიანი აქტივისტების წინააღმდეგ პოლიციის მიერ ძალის გადამეტებული გამოყენების გამო, რასაც მოყვა ასობით ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანება. გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ პოლიციამ სპეც - საშუალებები, მათ შორის რეზინის ტყვიები გამოიყენა დადგენილი სამართლებრივი წესების უხეში დარღვევით.

აღმაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ დაშავებულებს შორის არიან სხვადასხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობდნენ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე და ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას. ასევე დაკავებულებს შორის არიან ჩვენი კოლეგები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთა ადგილსამყოფელის დადგენა სასამართლოში მათ წარდგენამდე ვერ ხერხდებოდა.

მოქალაქეების აღშფოთება გამოიწვია ოკუპანტი ქვეყნის, რუსეთის დუმის დეპუტატის, კომუნისტური პარტიის წარმომადგენლის, სერგეი გავრილოვის საქართველოს პარლამენტში სხდომის წაყვანამ. ეს ფაქტი არის სამარცხვინო და მიუღებელი საქართველოს თითოეული თავმოყვარე მოქალაქისთვის.

მიგვაჩნია რომ ამ უხეშ შეცდომას უნდა მოყვეს მმართველო გუნდისგან შესაბამისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება, რაც ნაწილობრივ განხორციელდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომით, თუმცა ამ ფაქტის მიუხედავად, საზოგადოებაში არის უამრავი კითხვა, რომელზეც პასუხი უნდა გასცენ შესაბამისი პოლიტიკური თანამდებობის პირებმა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდში ქვეყნის შიგნით იმატა სხვადასხვა ნიადაგზე წარმოქმნილმა კონფლიქტებმა, რომლებიც აშკარად შეიცავენ ქვეყნის დესტაბილიზაციის საფრთხეს, იკვეთება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, იმ ძალების კონსოლიდაცია, რომელთაც მიზნად აქვთ პრორუსული პოლიტიკის გატარება ქვეყანაში. ვფიქრობთ რომ ქმედებები მიმართულია საქართველოს ევრო-ატლანტიკური კურსისგან გადახვევისკენ. ამ ტიპის პრობლემების მოგვარებას სჭირდება დემოკრატიული კონსოლიდაცია, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია არსებული პოლიტიკური პოლარიზაციის პირობებში.

მოვუწოდებთ ხელისუფლებას გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

1. დაიწყოს ფართო ფორმატით დიალოგი მომავალი საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების მიზნით.

2. პარლამენტში, დაუყოვნებლივ შეიქმნას საპარლამენტო კომისია, რომელიც საზოგადოების მაღალი ჩართულობით გამოიძიებს საერთაშორისო მართლმადიდებლური ანსამბლეის თბილისში ჩატარების საკითხებსა და მასთან დაკავშირებულ ძალადობრივ ქმედებებს რომლებსაც ადგილი ჰქონდა პარლამენტის წინ, როგორც აქტივისტების ისე ჟურნალისტების წინააღმდეგ.

3. გადადგეს შინაგან საქმეთა მინისტრი.

მოვუწოდებთ პოლიტიკურ პარტიებს ხელი შეუწყონ პროცესების დემოკრატიულ, კონსტიტუციურ ჩარჩოებში განვითარებას.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
4. ფონდი ”სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი”
5. ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
6. ასოციაცია მერკური
7. ევროკავშირი - საქართველო ბიზნეს საბჭო
8. მეგობრობის ხიდი ქართლოსი
9. ადამიანის უფლებათა ცენტრი
10. სკოლა-ოჯახი-საზოგადოება
11. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი"
12. საქართველოს პრესის ასოციაცია
13. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
14. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“

15. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
16. ახალგაზრდული ალტერნატივა
17. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
18. ჩართულობის და განვითარების ცენტრი
19. თომას ჯეფერსონის კვლევითი ცენტრი
20. ქალთა საინფორმაციო ცენტრი
21. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
22. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები- საქართველო
23. ასოციაცია „ფსიქეა“
24. გაერთიანება ჯანმრთელობისა და განათლებისთვი
25. საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
26. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა
27. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის
28. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
29. კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი